სპორტი – სახიფათო თუ უწყინარი თამაში

დაფიქრდი, რას ნიშნავს შენთვის სპორტი. სპორტის რომელი სახეობა უფრო მოგწონს და რატომ?

ადამიანებისთვის სპორტს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ის **ხალისითა** და **ენერგიით** გვავსებს. სპორტის მრავალი სახეობა არსებობს. ზოგი მათგანი სრულიად უსაფრთხოა. ზოგი ძალიან **სახიფათოა** და ჩვენგან **გამბედაობას** მოითხოვს. ისინი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ქვეყანაში შეიქმნა. ყველა სახეობას თამაშის თავისი წესი აქვს.

სპორტის სახეობებს შორის **პოპულარულია** ბურთით თამაში. ფეხბურთი, რაგბი, ტენისი, კრიკეტი, პინგ-პონგი... ისინი საკმაოდ უწყინარი თამაშებია. თუმცა დაზიანების საფრთხე აქაც არის. ეს მაშინ ხდება, როცა ფეხბურთელი ან მორაგბე უხეშ მოძრაობას მიმართავს.

ძალისმიერ სპორტში შედის კარატე, კრივი, ძიუდო, ფარიკაობა, ჭიდაობა, სუმო... სხეულის რომელიმე ნაწილის დაზიანების **რისკი** აქ უფრო დიდია. თუმცა მათგან არცერთი არ ითვლება ექსტრემალურ სპორტად.

იცი, რას ნიშნავს ექსტრემალური? მასში სპორტის ის სახეობები შედის, რომლებიც მონაწილისგან დიდ გამბედაობას ითხოვს. მას ახლავს რისკი. ამ დროს სპორტსმენი საკუთარ სიცოცხლეს აყენებს საფრთხის ქვეშ. ასეთებია: სერფინგი, თოკით ხტომა სიმაღლიდან. ასევე **ციცაბო** გორაკიდან თხილამურებით დაშვება, პარაშუტით ხტომა, ყინულსა და კლდეზე ცოცვა...

თუ მაგარი გული და ნერვები არ გაქვს, სერფინგისტი ვერ იქნები. ხუმრობა ხომ არაა ოკეანის ტალღებზე **ნავარდი**. თანაც რით? – სერფინგის მსუბუქი დაფით! არც თხილამურებით გორაკიდან დაშვება გეგონოს ადვილი! რა თქმა უნდა, ვერც თვითმფრინავიდან პარაშუტით ხტომას გაბედავს ყველა. ამ დროს სპორტსმენმა დროულად უნდა გახსნას პარაშუტი ჰაერში. მისი მიზანია, რომ მიწაზე უსაფრთხოდ დაეშვას. ექსტრემალი მთამსვლელები ყინულებსა და კლდეებზე დაცოცავენ. გარდა იმისა, რომ ძლიერები არიან, მათ სულაც არ ეშინიათ სიმაღლის...

როგორც ხედავ, ზოგი სპორტი უწყინარ თამაშს ჰგავს. ზოგიც ძალიან სახიფათოა. მაგრამ ორივე შემთხვევაში იგი ხელს უწყობს ადამიანის გაკაჟებას. ამიტომ, აირჩიე ჯანსაღი და აქტიური ცხოვრების წესი. იარე სპორტის იმ სახეობაზე, რომელიც უფრო მოგწონს.

რა თვისებებით გამოირჩევა ექსტრემალური სპორტით გატაცებული ადამიანი?

კომპონენტი: კატეგორიზაცია, **დონე:** 4.2

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 უწყინარ თამაშებს მიეკუთვნება:

ა) კრივი. ბ) პინკ-პონგი. გ) სერფინგი.

2 ძალისმიერი სპორტის სახეობებია:

ა) თხილამურით სრიალი, პარაშუტით ხტომა.

ბ) კარატე, ფარიკაობა, ძიუდო, ჭიდაობა.

გ) კრიკეტი, რაგბი, ტენისი, ფეხბურთი.

3 კლდეზე ცოცვას უწოდებენ:

ა) ექსტრემალურ სპორტს.

ბ) უწყინარ თამაშს.

გ) ძალისმიერ სპორტს.

4 რა საერთო აქვს სპორტის ყველა სახეობას?

ა) ყველა სახეობა სრულიად უსაფრთხოა ადამიანისათვის.

ბ) ყველა სახეობა შეიცავს სიცოცხლისთვის დიდ საშიშროებას.

გ) ყველა სახეობა ხელს უწყობს ადამიანის გაკაჟებას.

5 ტექსტის <u>მთავარი</u> მიზანია გაგვაცნოს:

ა) რა თვისებები უნდა ჰქონდეს სერფინგისტს.

ბ) რას ნიშნავს უცხოური სიტყვა ექსტრემალური.

გ) სპორტის როგორი სახეობები არსებობს.

6 რომელი წინადადება გადმოსცემს ტექსტის ძირითად აზრს?

ა) სპორტის ბევრი სახეობა სიცოცხლისთვის სახიფათოა.

ბ) სპორტი უწყინარ თამაშს ჰგავს.

გ) სპორტი ხელს უწყობს ადამიანის გაკაჟებას.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. ზოგი სპორტი დიდ **გამბედაობას** მოითხოვს ჩვენგან.

   ა) სიმამაცეს. ბ) სიჩქარეს. გ) ძალას.

2. ზოგი სპორტი ძალიან **სახიფათოა.**

   ა) რთულია. ბ) საშიშია. გ) ცნობილია.

3. სპორტის სახეობებს შორის **პოპულარულია** ბურთით თამაში.

   ა) ადვილი და სახალისოა.

   ბ) ცნობილი და მიღებულია.

   გ) მარტივი და საინტერესოა.

4. **ციცაბო** გორაკიდან თხილამურებით ხტომა ექსტრემალური სპორტია.

   ა) ძალიან ლამაზი. ბ) ძალიან უსწორმასწორო. გ) ძალიან დაქანებული.

2 დააკავშირე ხაზებით სიტყვები და მათი მნიშვნელობები.

1. ხალისი	მოსალოდნელი საფრთხე, საშიშროება.
2. რისკი	ლაღად, თავისუფლად მოძრაობა.
3. ნავარდი	კარგი გუნება, მხიარული განწყობა.

3 განმარტე, რას ნიშნავს „კაჟისგან“ მიღებული სიტყვა.

კაჟი – მაგარი ქვაა.

რას ნიშნავს **გაკაჟება**?

---

4 რომელია საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები (ანტონიმები)?

ა) მსუბუქი – მძიმე. ბ) უწყინარი – მშვიდი. გ) ძლიერი – ღონიერი.

გრამატიკა

1 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვები.

1. ყველა თამაშს ---------- წესი აქვს. ***(თავისი / მისი)***
2. ექსტრემალური სპორტი ---------- გამბედაობას ითხოვს. ***(მონაწილისგან / მონაწილიდან)***

2 იპოვე შეცდომები და აღნიშნე X-ით.

	[X] *ზოგი ჩვენთაგანი.*	[ ] *ზოგი ჩვენგანი.*
1.	[ ] უსაფრთხოდ.	[ ] უსაფრთხოთ.
2.	[ ] ძაან.	[ ] ძალიან.
3.	[ ] სპორტსმენი.	[ ] სპორცმენი.
4.	[ ] მთამსვლელი.	[ ] მთასვლელი.

3 დაწერე სიტყვები ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: ჭიდაობა (რა?) – მოჭიდავე (ვინ?)

1. ფარიკაობა – ---------- .
2. კრივი – ---------- .
3. რაგბი – ---------- .

4 სწორი თანამიმდევრობით დაალაგე სიტყვები ისე, რომ წინადადება მიიღო.

თამაშს უწყინარ ზოგი ჰგავს სპორტი

წერა

1 ტექსტის მიხედვით დაწერე, სპორტის რომელი სახეობაა უფრო სახიფათო და რატომ.

---

2 დაწერე, სპორტის რომელი სახეობა მოგწონს უფრო მეტად და რატომ.